



## რას ნიშნავს რუსეთის ელჩის მკვლელობა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობისთვის და რეგიონის უსაფრთხოებისთვის?

რუსეთის ელჩის ანდრეი კარლოვის მკვლელობა 2016 წლის დაუსრულებელი 'სიურპრიზების' რიგებს მიემატა. რუსი დიპლომატი 19 დეკემბერს საგამოფენო დარბაზში მევლუთ მერტ ალტინტაშის მიერ ტყვიის რამდენიმე გასროლით იქნა მოკლული. ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ანკარაში ჩადენილ მკვლელობასაც ჰქონდა თავისი თანმდევი ეჭვები და კითხვის ნიშნები. ღიად იყო საუბარი რუსეთ-თურქეთის შესაძლო დამაბულ ურთიერთობაზე; მოლაპარაკებების ჩაშლაზე სირიაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე;

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეკითხვაზე - რას ნიშნავს რუსეთის ელჩის მკვლელობა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობისთვის და რეგიონის უსაფრთხოებისთვის, ექსპერტებმა შემდეგი პასუხი გასცეს:

*რიჩარდ გირაგოსიან, რეგიონალური სწავლებების ცენტრის დირექტორი, ერევანი, სომხეთი*

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობა ინდივიდუალური შეიარაღებული მკვლელის მიერ ჩადენილი აქტია, მკვლელობა მომდინარეობს ფართო კონტექსტიდან, და აქვს უფრო ფართო გამოძახილები. მეტიც, თავად მკვლელობა იმდენად არ აზიანებს სტრატეგიულ ურთიერთობებს თურქეთსა და რუსეთს შორის, რამდენადაც ეს არის ძალადობრივი

გამოვლინება მიმართული რუსული სამხედრო ოპერაციების წინააღმდეგ სირიაში. ამრიგად, მიუხედავად ოფიციალური თურქულ-რუსული ნარატივებისა, მკვლელობა დაკავშირებული იყო უფრო მეტად ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან სირიაში და ნაკლებად ეხება თურქულ-რუსულ სამომავლო ურთიერთობებს.

მოვლენის ფართო კონტექსტიდან გამომდინარე, ნებით თუ ინებლიედ, იგი სხვადასხვა შედეგების მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს. უპირველესად, მიუხედავად

თურქეთში არეულობებისა, მკვლელობა გამოიწვევს პრეზიდენტი ერდოღანისა და პუტინის დაახლოებას, ერთიანი საერთო საფრთხის წინააღმდეგ. ამავე დროს, ეს კიდევ უფრო გააღრმავებს პრეზიდენტი ერდოღანის შიდაპოლიტიკურ სურვილს შური იძიოს თავის პირად მტრებზე და კიდევ უფრო გააძლიეროს შურისძიების პოლიტიკა გიულენის ქსელის წინააღმდეგ, როგორც თურქეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ფაქტობრივად, ეს არის შიდაპოლიტიკური კონტექსტი, რომელიც აღნიშნული მკვლელობით უფრო გაუარესდება.

დიდწილად უკვე დადასტურდა, რომ რუსეთის ელჩის მკვლელობა პირდაპირ არ დაახიანებს თურქულ-რუსულ ურთიერთობებს. ამის დასტური საგარეო საქმეთა მინისტრების სამმხრივი სამიტი (თურქეთი, რუსეთი და ირანი) გახლავთ. მოსკოვში გამართული სამიტი მცდელობაა სირიაში ახალი ხარისხის თანამშრომლობის ფორმირებისა და კოორდინაციის. მინისტრებმა პირობა დადეს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გახანგრძლივდება და ამავე დროს, გაიზრდება ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა. ასევე აღინიშნა, რომ ისინი გახდებიან "გარანტი" მომავალში ნებისმიერი სამშვიდობო გარიგებისა.

დღესდღეობით, რუსეთ-თურქეთს შორის ფუნდამენტური სხვაობა ასადის რეჟიმისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაა. ანკარის პერსპექტივიდან, სირიაში ექვსწლიანი ომის ძირითადი ინტერპრეტაცია მეტწილად ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებასთანაა ახლოს, რომელიც ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას გულისხმობს. ამდენად, მიუხედავად იმისა,

რომ მოსკოვი და ანკარა ცდილობს ურთიერთობების დალაგებასა და რუსეთის ელჩის მკვლელობით გამოწვეული ქარიშხლის გადატანას, კრიზისი კვლავ ნარჩუნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სირიის საკითხი, რომელიც მამოძრავებელი კონტექსტია და თურქეთ-რუსეთს შორის დაპირისპირებების მთავარი წყარო, მოუგვრებელი რჩება.

---

*გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მეტად რთულია, ახლო აღმოსავლეთში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეული პროგნოზების გაკეთება. შესაბამისად, თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას მხოლოდ გარკვეული ვარაუდები. უშუალოდ მკვლელობა პირდაპირ ზეგავლენას არ მოახდენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე. მკვლელი (უფრო სავარაუდოა, რომ ის დამოუკიდებლად მოქმედებდა) თურქეთის პოლიციის რიგებიდან გაათავისუფლეს გასული წლის ზაფხულში სამხედრო გადატრიალების მცდელობაში შესაძლო მონაწილეობის გამო. ეს „გადატრიალების მცდელობა“ პირველმა სწორედ რუსეთმა დაგმო და რუსეთს, დასავლეთისგან განსხვავებით, არ გამოუთქვამს პროტესტი ხსენებული გადატრიალების შემდეგ თურქეთში დაწყებული მასობრივი რეპრესიების წინააღმდეგ. მკვლელის სიტყვები - „არ დაივიწყოთ ალეპო!“, „არ დაივიწყოთ სირია!“ მიუთითებს მის მეორე მოტივაციაზეც - რუსეთის ჩართულობის წინააღმდეგ სირიის მოვლენებში. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ თურქეთმა და რუსეთმა, სწორედ ალეპოზე შეტევის წინ

მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებას სირიასთან დაკავშირებით. ამდენად, მკვლევის ქმედება თურქეთის ხელისუფლების სირიული პოლიტიკის წინააღმდეგაც იყო მიმართული. შესაძლოა, მკვლევლობის შემდეგ, რუსეთმა გააძლიეროს ზეწოლა თურქეთზე („გამოძიებაში“ ჩართვის მოთხოვნა, „თანამშრომლობის“ გაძლიერება ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ა.შ).

მეორე მხრივ, ბოლო ხანებში რუსეთ-თურქეთის დაახლოება და, შესაბამისად, თურქეთის დაშორება დასავლეთისგან, გარკვეულ შემოფოთებას იწვევს. თუმცა, ასევე

ნაკლებად სავარაუდოა თურქეთის მიერ პოლიტიკური ვექტორის რადიკალურად შეცვლა. იგივე შეიძლება ითქვას სირიაზეც - რუსეთსა და თურქეთს სირიაში აქვთ გარკვეული თანმხვედრი ინტერესები, რაც მათ შორის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმებაში გამოიხატა, მაგრამ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში ორ ქვეყანას შორის არსებობს გადაულახავი წინააღმდეგობები, მაგ., თურქეთისთვის ასადის რეჟიმის მიუღებლობა, ქურთების საკითხი და ა.შ.

---

## საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

